

ტესტი სტუდენტების საბრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. წაკითხულის გააზრება – 21 ტესტური დავალება.
2. ლოგიკური მსჯელობა – 14 ტესტური დავალება.
3. რაოდენობრივი მსჯელობა – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!



I ვარიანტი

წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

ტექსტი №1

I ძვ. წ. I ათასწლეულში საბერძნეთში მრავალი ქალაქ-სახელმწიფო, პოლისი იყო. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა სპარტასა და ათენს. თავისი დროის ამ მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ერთეულებმა წარუშლელი კვალი დატოვეს მსოფლიო ისტორიაში.

II სპარტა შეიქმნა მომხდური დორიელების მიერ პელოპონესის დიდი ნაწილის დაპყრობის შედეგად. ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით რიცხოვნობად ათჯერ ნაკლები დორიელები სამხედრო ელიტად იქცნენ და დაპყრობილი ხალხის, **ჰელოტების** შრომის ხარჯზე ცხოვრობდნენ. სპარტაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს არსებობა ძვ. წ. IX ს-დან უნდა ვივარაუდოთ. ორი ხანგრძლივი ომის შედეგად (ძვ. წ. VIII-VII სს.) სპარტამ დაიმორჩილა მესენია და საბერძნეთის ყველაზე დიდი პოლისი გახდა. ხსენებული ომების დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი წყობა, რომლის დაფუძნება ლეგენდარული კანონმდებლის, **ლიკურგოსის** სახელს უკავშირდება და რომელმაც, სერიოზული ცვლილებების გარეშე, რამდენიმე საუკუნე იარსება. ყოველ სპარტელს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ლაკონიისა და მესენიის მიწა გლეხებითურთ თანაბრად დაუნაწილდა დროებით მფლობელობაში. მათი თანასწორობა სხვა ზომებითაც იყო განმტკიცებული: იდეალური მეზრძოლის აღსაზრდელად მიმართული წვრთნა, ცხოვრების ყველა სფეროს უმკაცრესი რეგლამენტაცია, სამეურნეო საქმიანობისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვა.

III სპარტელთა ცხოვრების წესი აისახა მათ არქიტექტურაშიც - დორიული კაპიტელი ისევე განსხვავდება იონიურისგან, როგორც პირქუში სპარტელი ჯარისკაცი - ლალი და განებივრებული იონიელი მოქალაქისგან. საგანგებო აღნიშვნის ღირსია სპარტელთა ლაპარაკის ხელოვნება. მათი მოკლე და საქმიანი ფრაზები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ აზრის გამოთქმის ეს სტილი დღესაც სპარტელთა მშობლიური მხარის სახელწოდების მიხედვით - ლაკონიურად - იწოდება.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

IV სპარტას სათავეში ორი მეფე ედგა, რომლებიც სარდლის, მოსამართლისა და ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ. უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობდა უხუცესთა საბჭო - **გერუსია** და სახალხო კრება - **აპელა**, მაგრამ რეალურად ხელისუფლება ხუთი არჩევითი **ეფორისაგან** შემდგარ კოლეგიას ჰქონდა – ის აკონტროლებდა ლიკურგოსის კანონების განუხრელ შესრულებას ნებისმიერი სპარტელის მიერ. პოლისის მეურნეობა ემყარებოდა სრულიად უუფლებო ჰელოტებისა და პიროვნულად თავისუფალი, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული **პერიოიკოსების** შრომას. ჰელოტები მოსავლის მეექვსედს აძლევდნენ სახელმწიფოს, ხოლო პერიოიკოსები, მიწათმოქმედების გარდა, ვაჭრობითა და ხელოსნობით იყვნენ დაკავებული და რიგ შემთხვევაში მათ სამხედრო სამსახურიც ეკისრებოდათ.

V ატიკის დედაქალაქი ათენი ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში დაარსდა. ის გადაურჩა დორიელთა შემოსევას და საბერძნეთის ძველი მოსახლეობისათვის ერთგვარ ცენტრად, თავშესაფრად იქცა. ათენი ძალზე დინამიურად ვითარდებოდა, მისი მოქალაქეები მუდამ ახლის ძიებაში იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ათენის სახელს უკავშირდება კლასიკური ბერძნული კულტურის უმთავრესი წარმატებები ლიტერატურის, თეატრის, არქიტექტურის, სკულპტურის სფეროებში. ათენში გაჩნდა სახელმწიფოს მართვის ის ფორმა, რომელშიც ხალხი მაქსიმალურადაა ჩართული - დემოკრატია. დემოკრატის ხარისხი ათენში, გარკვეულწილად, დღევანდელი თვისაც კი მიუღწეველ სტანდარტად რჩება.

VI დემოსის, ხალხის ერთ-ერთი პირველი გამარჯვება კანონების ჩაწერა იყო. ათენში ტირანიის დამყარების პირველი უშედეგო მცდელობისა და ხალხის ამბოხების შემდეგ დაიწერა **დრაკონის** კანონები (ძვ. წ. 624 წ.). მართალია, ეს პირველი წერილობითი კანონები ტრადიციული სამართლის ფიქსაციას არ გასცდენია, მაგრამ მათი გაჩენით შეიზღუდა წარჩინებულ მოსამართლეთა თვითნებობა. კანონების ჩაწერის, განსაკუთრებით კი ახალშექმნილ კოლონიებში მათი შედგენის, პროცესში ბერძნებმა გააცნობიერეს, რომ კანონი სამუდამოდ დადგენილი კი არ არის, არამედ, ისევე როგორც ნებისმიერი პრაქტიკული გადაწყვეტილება, მოქალაქეთა შეთანხმების შედეგია. ამას მოჰყვა ფიქრი კანონმდებლობის, სამართლის პრინციპებზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროს ცხოვრობდა „შვიდი ბრძენი“, რომელთაც ხალხმა წინამძღოლობა ჩააბარა.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

VII ბრძენი მმართველის მოღვაწეობის საუკეთესო მაგალითია **სოლონის** რეფორმები. ძვ. წ. 594 წ-ს სოციალური აფეთქების ზღვარზე მყოფ ათენში გამოსავლის მოძებნა სოლონს მიახდეს. ხალხის ძირითადი სატკივარი სავალო კაბალა იყო. ათენელთა დიდი ნაწილის მიწები ვალების გადაუხდელობის გამო წარჩინებულების, **ევპატრიდების** ხელში აღმოჩნდა. ყოფილი მესაკუთრეები საკუთარ მიწაზე მოიჯარადებდნენ, ზოგი მონადაც გაიყიდა. სოლონმა გააუქმა ვალები და ათენელთა შელახული უფლებები აღადგინა. აიკრძალა ვალების გამო თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვა. შეიცვალა მეურნეობის ორიენტაცია სასაქონლო წარმოების სასარგებლოდ, რასაც საერთაშორისო ვაჭრობაში ათენელთა აქტიური ჩართვა მოჰყვა.

VIII ევპატრიდების პოლიტიკურ პრივილეგიებს დიდი დარტყმა მიაყენა მმართველობის სისტემის რეფორმამ. გაიზარდა **სახალხო კრების** მნიშვნელობა, შეიქმნა არჩევითი ორგანო - ოთხასთა საბჭო (ბულე), რომელიც მიმდინარე საკითხებს წყვეტდა. მოქალაქეები ქონებრივი ცენზის (და არა წარმოშობის) მიხედვით გაიყვნენ ოთხ ჯგუფად, რაც განსაზღვრავდა მათ ადგილს ჯარში და მათ უფლებას, ესა თუ ის თანამდებობა დაეკავებინათ. სოლონის რეფორმებმა ათენი სახელმწიფოდ აქცია, ერთი მხრივ, უზრუნველყო მოქალაქეთა პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა და, მეორე მხრივ, გზა გაუხსნა ნაყიდი უცხოელი მონის შრომის გამოყენებას.

IX ძვ. წ. 509 წ-ს **კლისთენესის** მიერ გატარებულმა რეფორმამ საბოლოოდ დაამკვიდრა დემოკრატია. გათანაბრდა მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები, შემოიღეს პოლისის ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, შესაბამისად, შეიცვალა ბულეს შემადგენლობა და ფორმირების პრინციპები.

X ბერძენ-სპარსელთა ომების დროს ათენმა **თემისტოკლესის** თაოსნობით შექმნა ძლიერი სამხედრო ფლოტი, რამაც მისი საგარეო-პოლიტიკური წარმატებები განაპირობა. თუ ადრე სამხედრო და საჯარო საქმეებში, ძირითადად, შეძლებული მოქალაქეები ფასობდნენ, რადგან მძიმედ შეჭურვილი მხედრის ან ქვეითის გამოყვანა შეეძლოთ, ფლოტთან ერთად გაიზარდა ღარიბების როლიც - ხომალდზე მენიჩხედ, მსუბუქად შეჭურვილ ქვეითად სამსახური ყველას შეეძლო.

XI საზღვაო იმპერიად ჩამოყალიბებამ პოლისში დემოკრატიაც გააღრმავა და ათენს შეუქმნა საშუალება, მოქალაქეები არისტოკრატიული სტანდარტების, მაღალ დონეზე გაეთანაბრებინა. შესაბამისად, მოქალაქეთა წრეში ახალი წევრების მიღება მკაცრად შეიზღუდა.

1. ავტორის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს, რომ

- (ა) ძველ საბერძნეთში მრავალი ქალაქ-სახელმწიფო, იგივე, პოლისი იყო.
- (ბ) ათენმა, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, ღრმა კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.
- (გ) ბერძნულ პოლისთა შორის სპარტა და ათენი თავიანთი განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.
- (დ) ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში საბერძნეთში უკვე არსებობდა ქალაქ-სახელმწიფოები.
- (ე) თავისი დროისათვის სპარტა ყველა სხვა პოლისისაგან განსხვავებული და ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო.

2. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ახასიათებს ორივეს, როგორც ათენს, ისე სპარტას?

- (ა) როგორც სპარტელთა, ისე ათენელთა დიდი ნაწილის მიწები ვალების გადაუხდელობის გამო წარჩინებულების, ევპატრიდების ხელში აღმოჩნდა.
- (ბ) ათენსა და სპარტაში რეალურად ხელისუფლება ეფორებისაგან შემდგარი კოლეგიის ხელში იყო.
- (გ) სპარტასა და ათენში დაპყრობილი ხალხი, ჰელოტები, მოსავლის მეექვსედს სახელმწიფოს აძლევდნენ.
- (დ) როგორც ათენში, ისე სპარტაში არჩევითი ორგანო – საბჭო – არსებობდა.
- (ე) ფლოტის შექმნის შემდეგ სპარტაში, ასევე, ათენში ღარიბების როლი მკვეთრად გაიზარდა.

3. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხოლოდ ათენისთვის იყო დამახასიათებელი

- (ა) საბერძნეთის ძველი მოსახლეობისათვის ცენტრის ფუნქციის შესრულება.
- (ბ) ცხოვრების წესის ასახვა საკუთარ არქიტექტურაშიც.
- (გ) სახალხო კრების მონაწილეობა მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტაში.
- (დ) უხუცესთა საბჭოს, გერუსიის, მონაწილეობა საჭირობოროტო საკითხთა განხილვაში.
- (ე) წვრთნის განსაკუთრებული მეთოდები იდეალური მებრძოლის აღსაზრდელად.

4. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

- I. მესენიის დაპყრობის შემდეგ სპარტა ძველი საბერძნეთის უდიდესი პოლისი გახდა.
- II. დორიელთა შემოსევამ როგორც ათენი, ისე სპარტა ძლიერ დააზარალა.
- III. სპარტის ხელისუფლებაში ეფორების ხუთწევრიან კოლეგიას ფართო უფლებები ჰქონდა.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ I და III

5. ცნობილია ათენელი ისტორიკოსის – თუკიდიდეს განაცხადი: „ჩვენ სახელმწიფო უცხო ნიმუშის მიხედვით არ მოგვიწყვია. პირიქით, უმაღლეს ვართ სხვისთვის სამაგალითო.“

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტით არის შესაძლებელი ამ მოსაზრების დადასტურება?

- I. ატიკის დედაქალაქი ათენი დორიელთა შემოსევის დროს საბერძნეთის ძველი მოსახლეობისათვის თავშესაფრად იქცა.
- II. ათენში გაჩნდა დემოკრატია, სახელმწიფოს მართვის ის ფორმა, რომელშიც დემოსი, ხალხი მაქსიმალურად ჩართულია.
- III. ძვ. წ. 594 წ-ს სოციალური აფეთქების ზღვარზე მყოფ ათენში მმართველმა სოლონმა ვალები გააუქმა.

- (ა) მხოლოდ I-ით
- (ბ) მხოლოდ II-ით
- (გ) მხოლოდ III-ით
- (დ) როგორც I-ით, ისე III-ით
- (ე) როგორც II-ით, ისე III-ით

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია დამახასიათებელი მხოლოდ სპარტისათვის?

- (ა) პოლისს სათავეში ორი მეფე ედგა, რომლებიც სარდლის, მოსამართლისა და ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ.
- (ბ) კლისთენესის მიერ გატარებულმა რეფორმამ პოლისში საბოლოოდ დაამკვიდრა დემოკრატია.
- (გ) პოლისში ოთხასთა საბჭო, ბულე, მიმდინარე პრობლემურ საკითხებს განიხილავდა.
- (დ) სამხედრო ფლოტის შექმნამ პოლისის პოლიტიკური უპირატესობა განაპირობა.
- (ე) პოლისის დედაქალაქი ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში დაარსდა.

7. ჩამოთვლილთაგან რა არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) სპარტელთა მოკლე, საქმიანი ფრაზების შედეგად აზრის გამოთქმის სპეციფიკური სტილი დამკვიდრა.
- (ბ) ათენში წარჩინებულ მოსამართლეთა თვითნებობა დრაკონის კანონებმა შეზღუდა.
- (გ) სპარტის შექმნა დორიელთა მიერ პელოპონესის დიდი ნაწილის დაპყრობის უშუალო შედეგია.
- (დ) გარკვეული თვალსაზრისით, ათენის დემოკრატიის ხარისხი მიულწეველ სტანდარტად რჩება თანამედროვე სამყაროსთვის.
- (ე) ათენის ფლოტში ღარიბებს ხომალდებზე მენიჩბედ თუ შეჭურვილ ქვეითად სამსახური ეკრძალებოდათ.

8. ტექსტის მიხედვით, ათენში სამხედრო ფლოტის შექმნამ

- (ა) საბოლოოდ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი წყობა, რომლის დაფუძნება ლეგენდარული კანონმდებლის, ლიკურგოსის სახელს უკავშირდება.
- (ბ) ხალხის ამბოხებისა და ტირანიის დამყარების პირველი მცდელობა განაპირობა.
- (გ) მთავარი როლი შეასრულა პოლისის საგარეო-პოლიტიკურ წარმატებაში.
- (დ) სახალხო კრების ფუნქციები გაზარდა და უხუცესთა საბჭოს როლი შეამცირა.
- (ე) გამოიწვია ხელისუფლების დაქვემდებარება არჩევითი კოლეგიისადმი.

9. ტექსტი გვაწვდის ცნობებს ათენში კანონების ჩაწერისა და რეფორმების გატარების შესახებ. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ არის მართებული?

- (ა) ათენის ახალშექმნილ კოლონიებში საგანგებო საკანონმდებლო ჩანაწერები იქმნებოდა.
- (ბ) ათენში კანონმდებლობის, სამართლის პრინციპების შესახებ მუდმივად ზრუნვას სათავე დაუდო დრაკონის კანონებმა.
- (გ) ათენის ბრძენი მმართველები აცნობიერებდნენ, რომ კანონი მოქალაქეთა შეთანხმების შედეგად უნდა დადგინდეს.
- (დ) სოლონის რეფორმით, ათენში კანონი მხარს უჭერდა მოქალაქეების ჯგუფებად დაყოფას მათი წარმოშობის მიხედვით.
- (ე) სოლონის მმართველობის დროს ათენში აიკრძალა თავისუფალი ადამიანის ვალების გამო მონად გაყიდვა.

10. ცნობილია, რომ პერიკლემ, რომელიც წლების მანძილზე ფაქტობრივად ათენის მმართველი იყო, ვერ მოახერხა თავისი ცოლისა და, შესაბამისად, შვილებისთვის ათენის მოქალაქეობა მიეცა.

ტექსტის რომელი აზრაცის შესაბამის არგუმენტად გამოიყენებდით ამ ფაქტს?

- (ა) VII
- (ბ) VIII
- (გ) IX
- (დ) X
- (ე) XI

11. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) სპარტაში პერიოიკოსები პოლიტიკურად უუფლებონი იყვნენ და მათ მხოლოდ მიწათმოქმედების სფეროში საქმიანობის ნება ჰქონდათ.
- (ბ) სოლონის რეფორმებმა ნაწილობრივ შეზღუდა საერთაშორისო ვაჭრობაში ათენელთა აქტიური მონაწილეობა.
- (გ) ატიკის დედაქალაქის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა იყო დემოკრატიული პოლისი, სადაც გადაწყვეტილებები ხალხის მიერ მიიღებოდა.
- (დ) ათენში სოლონის მმართველობის დროს მიწების დიდი ნაწილი წარჩინებულებს, ევპატრიდებს, გაუნაწილდათ.
- (ე) ძველ საბერძნეთში დემოსის, ხალხის ერთ-ერთი პირველი გამარჯვება სპარტელთა მიერ კანონების შემოღება და ჩაწერა იყო.

ტექსტი №2

I სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს, იქნებოდა ეს მონარქია თუ რესპუბლიკური წყობა, კოლეგიურ ორგანოს – სათათბიროს, საბჭოს – გარკვეული ფუნქციები ჰქონდა, იმ განსხვავებით, რომ მონარქიის დროს ისინი მეფის დაქვემდებარებაში იყო, რესპუბლიკური წყობის დროს კი საბჭოები, სახალხო კრებასთან ერთად, მმართველობის უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდა. შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ, რა როლი ეკისრებოდა საბჭოებს, სათათბიროებს ძველ საბერძნეთში, რომსა და საქართველოში, და ეს ორგანოები დემოკრატიულ პრინციპებს რამდენად უპასუხებდა.

II საბერძნეთსა და რომში სახელმწიფო მართვის სტრუქტურა შედგებოდა სახალხო კრებისა და საბჭოსგან (მაგალითად: არეოპაგი, სენატი). კოლეგიური ორგანოების არსებობა საქართველოშიც დასტურდება: მმართველობის მნიშვნელოვან ორგანოს მთაში ოდითგანვე სახალხო კრება/საბჭო წარმოადგენდა, ფეოდალურ საქართველოში კი სამეფო კართან არსებობდა სათათბირო, რომლის სათავეშიც მეფე იდგა.

III როგორც აღვნიშნეთ, საბჭოები მონარქიის პერიოდში უკვე არსებობდა; ასეთი იყო ათენში არეოპაგი, რომში – სენატი, საქართველოში კი – სათათბირო (დარბაზობა, ვეზირობა). ეს კოლეგიური ორგანოები ათენსა და რომში რესპუბლიკის პერიოდშიც აგრძელებს არსებობას სახეცვლილი ფუნქციებით. თუმცა, მათ პარალელურად იქმნება სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელთაც სახელმწიფო მართვაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ.

IV საბერძნეთში უძველესი დროიდან არესის ბორცვზე იკრიბებოდა საბჭო – არეოპაგი, რომლის სახელწოდებაც შეკრების ადგილიდან მომდინარეობს. მონარქიის პერიოდში არეოპაგის საბჭოს მეფე იწვევდა და თავად თავმჯდომარეობდა. მისი თავდაპირველი ფუნქცია მეფის მრჩევლობა იყო (ისევე, როგორც რომში სენატისა). მონარქიის პერიოდში საბჭო მთლიანად წარჩინებული ევპატრიდებისგან შედგებოდა, რეფორმატორი მმართველის, სოლონის შემდეგ კი მისი შემადგენლობაც სხვადასხვაგვაროვანი გახდა და გაზრდილი რაოდენობა 200 - 300 წევრს შორის მერყეობდა.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

V არეოპაგის მსგავსად, რომში მონარქიის დროსვე არსებობდა უხუცესთა საბჭო – სენატი. რომულუსის დროს მის შემადგენლობაში 100 ოჯახის უფროსი შედიოდა, შემდეგ მათი რიცხვი 200-მდე გაიზარდა, რესპუბლიკის პერიოდში კი საბჭო 300 კაცით განისაზღვრა. სენატორების ასარჩევად აქაც წარჩინებული, პატრიციული წარმომავლობა იყო საჭირო, მაგრამ სერვიუს ტულიუსის რეფორმის შემდეგ მათ, პატრიციებთან ერთად, ღირსეული პლებეებისგანაც ირჩევდნენ. სენატს, ისევე როგორც არეოპაგს, მეფე იწვევდა. მოგვიანებით სენატის მოწვევის უფლება კონსულებსა და კონსულის ტრიბუნებს, ასევე, სახალხო ტრიბუნებსა და მაგისტრატებს მიენიჭათ. რომში სახალხო კრებისა და სენატის ფუნქციები ერთმანეთთან გადაჯაჭვული იყო. სენატს საკანონმდებლო პროექტების შემუშავებაც შეეძლო. ამ პროექტების განხილვა, დამტკიცება სახალხო კრებას ევალებოდა. თუ სახალხო კრება არ მოიწონებდა კანონპროექტს, ის კანონად ვერ იქცეოდა. ასევე, სენატის მოწონების გარეშე ვერც სახალხო კრების კანონპროექტი იქცეოდა კანონად.

VI დარბაზი, იგივე დარბაზობა, მეფის კარზე ფეოდალების სათათბირო ორგანო იყო, რომელიც XI-XVIII სს-ის საქართველოში არსებობდა. მის სათავეში იდგა მეფე და თავად ხელმძღვანელობდა თათბირს. დარბაზის წევრები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „ხელოსანნი“, ე. ი. სახელმწიფო მოხელეები (მწიგნობარი, ეჯიბი, ამირეჯიბი, მეჭურჭლე და სხვ.) და „უხელონი“, რომელთაც სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავათ. ვეზირები განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდნენ დარბაზობაში. XII საუკუნეში საქართველოში სავეზირო, როგორც მმართველობის ორგანო, ჯერ არ არსებობდა. მის ფუნქციებს, როგორც აღვნიშნეთ, „დარბაზის რიგის“ მაღალი თანამდებობის პირები ასრულებდნენ მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის მეთაურობით. დავით აღმაშენებლის დროს კი იქმნება კიდევ ერთი, შედარებით მწყობრი და დახვეწილი აპარატი, რომელიც XIII ს-ში სავეზიროს სახით ჩამოყალიბდა. თუ სავეზიროს წარმომობამდე ვეზირი პირადად მოახსენებდა მეფეს საგანმგებლო უწყებაში არსებული მდგომარეობის შესახებ, ვეზირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, გაჩნდა მოთხოვნილება აზრთა შეთანხმებული მუშაობისა და ერთიანი პოლიტიკის გატარებისა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სავეზირო, რომელიც უზრუნველყოფდა ვეზირთა მხრივ კოლექტიურ მოხსენებას მეფისთვის და, მეფის უმაღლესი განკარგულების თანახმად, ვეზირთა მხრიდან ქვეყნის შეთანხმებულ მართვას. სავეზიროში წინასწარ განიხილავდნენ იმ საკითხებს, რომლებიც სხვადასხვა უწყებას ეხებოდა და შეიმუშავებდნენ ერთიანი პოლიტიკის ხაზს. ამ მხრივ სწორედ სავეზირო უახლოვდება იმ სისტემას, რომლის მიხედვით სახალხო კრებები და საბჭოები შეთანხმებულად მოქმედებდნენ ათენსა და რომში.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

VII მოგვიანებით, სავეზირო დარბაზობას დაუპირისპირდა; მეფე მათი დახმარებით ცდილობდა დარბაზის “ნახევარ-ხელმწიფეთა“ დამორჩილებას. ცხადია, ძნელია ამგვარი სავეზიროს დემოკრატიულობაზე საუბარი. ვეზირთა ასეთი ვიწრო წრე თავისთავად გამორიცხავს სხვათა მონაწილეობას თათბირის პროცესში. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის გარდა, ვეზირთა ლიმიტირებულ რაოდენობას მეფის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებაც განაპირობებდა.

VIII მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დარბაზის შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ მაღალი კლასის წარმომადგენლები, ფეოდალები და საბოლოო გადაწყვეტილებას მეფე იღებდა, თავად სათათბიროს არსებობა უკვე იყო დემოკრატიულობის ერთგვარი ნიშანი, რადგან ის საკითხების განხილვაში მრავალთა მონაწილეობას ეფუძნება. როგორც ვხედავთ, საწყის ეტაპზე საბერძნეთსა და რომშიც სათათბიროები უმთავრესად ზედა ფენებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ მათი პრინციპები ბევრად უფრო დემოკრატიული იყო, რადგან იქ გარკვეულწილად პლებეებიც – დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

IX მმართველობის დემოკრატიული პრინციპები მთელ საბერძნეთსა და რომში მოქმედებდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომში დემოკრატიის როლი მაინც უფრო მცირე იყო, ვიდრე ძველ ათენში. ეს ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ რომში, ფაქტობრივად, სამი სახალხო კრება არსებობდა, რაც მათ ფუნქციებს მეტ-ნაკლებად ამცირებდა. მმართველობის სადავეები მთელი რესპუბლიკის პერიოდში მაინც სენატს ეპყრა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ასე მკვეთრად გამოხატული დემოკრატიულობა არ გვქონდა, მთაში საბჭოს, სახალხო კრების ფუნქციონირებაში მის აშკარა ნიშნებს ვხედავთ. ამის მიზეზი კი ალბათ ის იყო, რომ აქ ხალხი, ბარის მოსახლეობისგან განსხვავებით, მეტი თავისუფლებით სარგებლობდა.

12. ავტორი წარმოაჩენს, რომ კოლეგიურ ორგანოს – საბჭოს, სათათბიროს – დემოკრატიულობის ნიშნები

- (ა) მონარქიის პერიოდში არ ახასიათებდა არცერთ სახელმწიფოში.
- (ბ) ძველ რომსა და ძველ საბერძნეთში თანაბრად ახასიათებდა, საქართველოში კი – გაცილებით ნაკლებად.
- (გ) ძველ საბერძნეთში უფრო ნაკლებად ახასიათებდა, ვიდრე – რომის რესპუბლიკაში.
- (დ) სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს თანაბრად ახასიათებდა.
- (ე) ძველ რომში, ათენტან შედარებით, ნაკლებად ახასიათებდა.

13. ტექსტის მიხედვით, მოცემულთაგან რომელი ასახავს მართებულად სოციალურად ერთმანეთის მსგავსი ფენის წარმომადგენელთა ჩამონათვალს?

- I. ევპატრიდები ათენის არეოპაგში, ღირსეული პლებეები რომის სენატში, „ხელოსანნი“ ქართულ დარბაზში.
- II. ევპატრიდები ათენის არეოპაგში, პატრიციები რომის სენატში, ფეოდალები ქართულ დარბაზში.
- III. პლებეები რესპუბლიკური წყობის ათენსა და რომში, დარბაზის რიგის „უხელონი“ ფეოდალურ საქართველოში.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

14. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად ტექსტის პირველსა და მეორე აბზაცებს შორის მიმართებას?

- (ა) I აბზაცში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრების საპირისპირო თვალსაზრისები წარმოდგენილია II აბზაცში.
- (ბ) II აბზაცში ეჭვის ქვეშ დგება I აბზაცში განსახილველად დასმული საკითხი საბჭოს დემოკრატიულობის შესახებ.
- (გ) II აბზაცი აზუსტებს კოლეგიალური ორგანოს – საბჭოს შესახებ I აბზაცში უკვე გამოკვეთილ საკითხს.
- (დ) I აბზაცში ავტორი გავრცელებულ თვალსაზრისს გვაცნობს, ხოლო II აბზაცში საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს.
- (ე) I აბზაცში წარმოდგენილია ფაქტობრივი მასალა, ხოლო II აბზაცში შეფასებულია მათი მნიშვნელობა.

15. რა განსხვავება იყო ათენსა და რომში მონარქიის დროინდელსა და რესპუბლიკური წყობის პერიოდში მოქმედ საბჭოებს შორის?

- I. მონარქიის პერიოდში საბჭოები უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე რესპუბლიკური წყობის დროს.
- II. საბჭოები მმართველობის უმაღლეს ორგანოს მხოლოდ რესპუბლიკური წყობის დროს წარმოადგენდა.
- III. რესპუბლიკური წყობისაგან განსხვავებით, მონარქიის დროს საბჭოები ორი დაპირისპირებული ჯგუფისაგან შედგებოდა.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

16. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- (ა) საქართველოში პირველი კოლეგიური ორგანოების არსებობა დავით აღმაშენებლის მეფობის დროიდან დასტურდება.
- (ბ) რესპუბლიკის პერიოდში ათენსა და რომში კოლეგიური ორგანოები სახეცვლილი ფუნქციებით განაგრძობდა არსებობას.
- (გ) ძველი რომის სენატის თავდაპირველი ფუნქცია, ათენის არეოპაგისაგან განსხვავებით, მეფის მრჩევლობა იყო.
- (დ) მმართველ სოლონის რეფორმების შემდეგ ათენში საბჭო მთლიანად წარჩინებული ევპატრიდებისაგან შედგებოდა.
- (ე) რესპუბლიკის პერიოდის ათენში, განსხვავებით რომისგან, საბჭოს პარალელურად სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტი შეიქმნა.

17. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) ქართულ სავეზიროს მხოლოდ მეფისთვის ვითარების გაცნობის ფუნქცია ჰქონდა, რაც ვეზირთა შორის სახელმწიფო საკითხებზე თათბირს გამორიცხავდა.
- (ბ) საქართველოში დარბაზის შემადგენლობაში მაღალი კლასის წარჩინებული წარმომადგენლები შედიოდნენ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მეფე იღებდა.
- (გ) ძველი რომის რესპუბლიკაში გავლენიან მმართველ ძალას სენატი წარმოადგენდა.
- (დ) ფეოდალურ საქართველოში მთიელი ხალხი, ბარის მოსახლეობისაგან განსხვავებით, მეტი თავისუფლებით სარგებლობდა.
- (ე) სათათბიროების შემადგენლობაში საწყის ეტაპზე ძველ საბერძნეთსა და რომშიც უმთავრესად მაღალი სოციალური ფენა იყო წარმოდგენილი.

18. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის პრაქტიკაში?

- I. სამეფო კარის სათათბირო დარბაზის ერთ ჯგუფს მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები მიეკუთვნებოდნენ.
- II. ვეზირები უპირატესობით სარგებლობდნენ სამეფო კარის დარბაზობაში.
- III. მეფის სათათბირო დარბაზში მოღვაწე მაღალი თანამდებობის პირებს მწიგნობართუხუცესი მეთაურობდა.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I და II
- (ბ) მხოლოდ I და III
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) I, II და III

19. ტექსტის მიხედვით, ძველ რომში, ისევე, როგორც ათენში

- (ა) საბჭოებს შესაბამისი სახელი შეკრების ადგილის მიხედვით დაერქვა.
- (ბ) საბჭოს პარალელურად ფუნქციონირებდა სახალხო კრებებიც.
- (გ) საბჭო ასი წარჩინებული ოჯახის უფროსისაგან შედგებოდა.
- (დ) საბჭოს დაარსებიდანვე მის წევრებად სხვადასხვაგვარი ფენის წარმომადგენლებს ირჩევდნენ.
- (ე) საბჭოს საკანონმდებლო პროექტებს სახალხო კრება წინ ვერ აღუდგებოდა.

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ იყო დამახასიათებელი ძველი რომისათვის?

ძველ რომში

- (ა) სახალხო კრებისა და სენატის ფუნქციები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებოდა.
- (ბ) კანონად ვერ გადაიქცეოდა სენატის პროექტი, თუკი მას სახალხო კრებაც არ დაამტკიცებდა.
- (გ) სენატის დაარსებიდანვე მისი მოწვევის უფლება კონსულებსა და სახალხო ტრიბუნებს მიენიჭათ.
- (დ) სენატის დასტურის გარეშე სახალხო კრების კანონპროექტი კანონად ვერ გადაიქცეოდა.
- (ე) სამი სახალხო კრების არსებობა თითოეული მათგანის ფუნქციებს ზღუდავდა და ავიწროებდა.

21. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ათენში სოლონის, ხოლო რომში სერვიუს ტულიუსუს რეფორმებმა ბიძგი მისცა სახალხო კრების საპირისპიროდ საბჭოს როლის გაძლიერებას.
- (ბ) ძველ რომში ფაქტობრივად სამი სახალხო კრების არსებობა მართვას უფრო დემოკრატიულს ხდიდა.
- (გ) სერვიუს ტულიუსის რეფორმის შემდეგ რომში სენატორთა ასარჩევად პატრიციული წარმომავლობა გახდა საჭირო, სენატის წევრს აღარ ირჩევდნენ პლებეების ფენიდან.
- (დ) ძველი რომისა და ათენის მმართველობისთვის დამახასიათებელ შეთანხმებულად მოქმედების პრაქტიკას ქართულ რეალობაში მსგავსება სავეზიროს საქმიანობაში მოეძიება.
- (ე) როგორც მონარქიის, ისე რესპუბლიკური წყობის პერიოდში საბჭოს შემადგენლობაში გაცილებით მეტი წევრი იყო ათენში, ვიდრე – ძველ რომში.

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

22. მოცემულია წინადადება:

- მწვერვალისკენ მიმავალი არცერთი მარშრუტი არ არის მოკლე და უსაფრთხო.

ჩამოთვლილთაგან რომელი ადასტურებს, რომ მოცემული წინადადება მცდარია?

- (ა) მწვერვალისკენ მიმავალი ყველა მარშრუტი გრძელია და უსაფრთხო.
- (ბ) მწვერვალისკენ მიმავალი აღმოსავლეთის მარშრუტი არც მოკლეა და არც უსაფრთხო.
- (გ) მწვერვალისკენ მიმავალი დასავლეთის მარშრუტი მოკლეა და სახიფათო.
- (დ) მწვერვალისკენ მიმავალი ჩრდილოეთის მარშრუტი გრძელია და სახიფათო.
- (ე) მწვერვალისკენ მიმავალი სამხრეთის მარშრუტი მოკლეა და უსაფრთხო.

23. გოგონათა ექვსეულის – ანა, ზაია, გაიანე, დიანა, ელისო, ვერიკო – შესახებ ცნობილია, რომ:

- ანა მაღალია ვერიკოზე.
- ელისო მაღალია ზაიაზე.
- ვერიკო მაღალია გაიანეზე.
- ანა მინიმუმ ორ გოგონაზე დაბალია.
- დიანა სიმაღლით მეოთხეა (მხოლოდ ორ გოგონაზე მაღალია).

ამ ექვსეულში სიმაღლით მერამდენეა ზაია?

- (ა) მეორე
- (ბ) მესამე
- (გ) მეოთხე
- (დ) მეხუთე
- (ე) მეექვსე

24. ერთ-ერთი დანადგარის უსაფრთხოების შემოწმებისათვის განკუთვნილ კითხვარში თანამშრომლებს სთხოვეს შეეფასებინათ, თუ დაახლოებით რა დროს ატარებდნენ ისინი ამ დანადგართან და რა სამედიცინო ჩივილები ჰქონდათ მათ. შედეგების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ვინც უფრო მეტ დროს ატარებდა დანადგართან, მას უფრო ხშირად აწუხებდა თავის ტკივილი. ამის საფუძველზე დაასკვნეს, რომ დანადგართან მუშაობა იყო თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზი.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეასუსტებს ყველაზე მეტად პირობაში გამოტანილი დასკვნის მართებულობას?

- (ა) კითხვარში სამედიცინო ჩივილების სია წინასწარ იყო განსაზღვრული და დამატებით ჩანაწერებს თანამშრომლები არ აკეთებდნენ.
- (ბ) ის თანამშრომლები, რომლებსაც ხშირად აწუხებდათ თავის ტკივილი, დანადგართან გატარებულ დროს კითხვარში უფრო გაზვიადებულად უთითებდნენ, ვიდრე სხვები.
- (გ) კითხვარი დანადგართან მომუშავე თანამშრომლების მხოლოდ ორმა მესამედმა შეავსო.
- (დ) ის თანამშრომლები, რომლებსაც ნაკლებად აწუხებდათ თავის ტკივილი, კითხვარში სხვა სახის სამედიცინო ჩივილებს უთითებდნენ.
- (ე) დანადგართან მომუშავე თანამშრომელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა შეაფასა გადაჭარბებულად თავისი სამედიცინო ჩივილები.

25. მოცემულია სამი დებულება:

- ზოგიერთი მონოტონური ვიდეო პოპულარულია.
- არცერთი შემეცნებითი ვიდეო არ არის მონოტონური.
- არ არსებობს პოპულარული ვიდეო, რომელიც არც სახალისოა და არც შემეცნებითი.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?

(ა) ყველა სახალისო ვიდეო პოპულარულია.

(ბ) ყველა შემეცნებითი ვიდეო პოპულარულია.

(გ) ზოგიერთი მონოტონური ვიდეო არ არის სახალისო.

(დ) არსებობს პოპულარული ვიდეო, რომელიც არ არის შემეცნებითი.

(ე) არსებობს სახალისო და შემეცნებითი ვიდეო, რომელიც პოპულარული არაა.

26. მოცემულია მსჯელობები, რომლებშიც ცხადია იგულისხმება, რომ ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია:

- I. ადამიანი ვერ იქნება ჯანმრთელი, თუ მისი საკვები არ შეიცავს ხილ-ბოსტნეულს, რადგან ნებისმიერი ჯანმრთელი ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელია, რომ მისი კვება იყოს დაბალანსებული, ხოლო დაბალანსებული კვება აუცილებლად შეიცავს ხილ-ბოსტნეულს.
- II. დაბალანსებული კვება აუცილებლად შეიცავს ხილ-ბოსტნეულს. რადგან ნებისმიერი ჯანმრთელი ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელია, რომ მისი კვება იყოს დაბალანსებული, ამიტომ თუ ადამიანის კვება შეიცავს ხილ-ბოსტნეულს, მაშინ ეს ადამიანი ჯანმრთელია.
- III. ნებისმიერი ჯანმრთელი ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელია, რომ მისი კვება იყოს დაბალანსებული. ხოლო დაბალანსებული კვება აუცილებლად შეიცავს ხილ-ბოსტნეულს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ ადამიანი არ იყოს ჯანმრთელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი კვება შეიცავს ხილ-ბოსტნეულს.

მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ I და II
- (გ) მხოლოდ I და III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) თითოეული

27. ცნობილია, რომ:

- კომისიის წევრებიდან არცერთი არ არის პარლამენტარი.
- კომისიის წევრებიდან ერთი მაინც სამოქალაქო აქტივისტია.
- კომისიის ზოგიერთი წევრი ეწინააღმდეგება საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.
- კომისიის თითოეული წევრი ემხრობა კანონის ცვლილებას და ადმინისტრირების გამკაცრებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამოდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთი სამოქალაქო აქტივისტი ემხრობა კანონის ცვლილებას და ეწინააღმდეგება საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.
- (ბ) არსებობს კომისიის წევრი სამოქალაქო აქტივისტი, რომელიც ეწინააღმდეგება საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.
- (გ) კომისიის ზოგიერთი წევრი, რომელიც ემხრობა კანონის ცვლილებას, არ არის სამოქალაქო აქტივისტი.
- (დ) არცერთი პარლამენტარი არ ემხრობა ადმინისტრირების გამკაცრებას და არ ეწინააღმდეგება საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.
- (ე) არსებობს კომისიის წევრი, რომელიც ემხრობა ადმინისტრირების გამკაცრებას, თუმცა ეწინააღმდეგება საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

28. ეკრანზე ტექსტი სამ სტრიქონად გამოდის. თითოეული სტრიქონი ან ლურჯია, ან მწვანე. ამასთან, თითოეული სტრიქონი ან მხედრულითაა დაწერილი, ან ნუსხურით.

ლურჯ სტრიქონზე მხედრულით, ასევე მწვანე სტრიქონზე ნუსხურით დაწერილი ყოველი წინადადება ჭეშმარიტია. ეკრანზე სხვა დანარჩენი წინადადებები მცდარია.

სტრიქონები შემდეგი შინაარსისაა:

I სტრიქონი: მეორე სტრიქონზე დაწერილი წინადადებები ჭეშმარიტია. მესამე სტრიქონი ნუსხურითაა დაწერილი.

II სტრიქონი: პირველი და მეორე სტრიქონები ლურჯია. მესამე სტრიქონი მწვანეა.

III სტრიქონი: პირველი და მეორე სტრიქონები მწვანეა. მეორე სტრიქონი მხედრულითაა დაწერილი.

ჩამოთვლილთაგან ამ სტრიქონების შესახებ რომელი დასკვნა გამომდინარეობს პირობიდან?


- (ა) პირველი და მეორე მხედრულითაა დაწერილი, მესამე – მწვანეა.
- (ბ) პირველი მწვანეა, მესამე – ლურჯი, მეორე მხედრულითაა დაწერილი.
- (გ) პირველი ნუსხურითაა დაწერილი, მეორე მწვანეა, მესამე – ლურჯი.
- (დ) პირველი ლურჯია, მეორე და მესამე მხედრულითაა დაწერილი.
- (ე) პირველი და მესამე მხედრულითაა დაწერილი, მეორე ლურჯია.

ამოცანები 29-31 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

რვა მიკროსქემა – A, B, C, D, E, F, G და H – ერთმანეთთან წყვილ-წყვილად ისეა შეერთებული, როგორც ეს ნახაზზეა წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ:

- A ოთხ მიკროსქემასთანაა შეერთებული.
- B, F და G-დან ყოველი ორი შეერთებულია ერთმანეთთან.
- C და E ერთმანეთთან შეერთებულია.



29. ჩამოთვლილთაგან რომელი მიკროსქემებია აუცილებლად შეერთებული ერთმანეთთან?

- (ა) A და C
- (ბ) A და F
- (გ) D და H
- (დ) E და G
- (ე) G და H

30. თუ G და D შეერთებულია ერთმანეთთან, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- (ა) A და B შეერთებულია ერთმანეთთან.
- (ბ) A და F შეერთებულია ერთმანეთთან.
- (გ) B და E შეერთებულია ერთმანეთთან.
- (დ) B და H შეერთებულია ერთმანეთთან.
- (ე) E და F შეერთებულია ერთმანეთთან.

31. ჩამოთვლილთაგან რომელია საკმარისი იმის სრულად დასადგენად, თუ რომელი მიკროსქემებია ურთიერთშეერთებული?

- (ა) A არ არის შეერთებული არც B, არც C და არც D მიკროსქემასთან.
- (ბ) A შეერთებულია როგორც B, ისე C და D მიკროსქემასთან.
- (გ) შეერთებულია D და F, ასევე – E და G.
- (დ) არ არის შეერთებული არც F და E, არც A და C.
- (ე) F, E და H-დან თითოეული ზუსტად ორ მიკროსქემასთანაა შეერთებული.

ამოცანები 32-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მეყვავილემ მის განკარგულებაში არსებული ექვსი სახეობის ყვავილიდან – P, Q, R, S, T და U – გამოიყენა მხოლოდ 5 და დაამზადა 3 თაიგული. ცნობილია, რომ:

- არცერთი სახეობის ყვავილი არ არის გამოყენებული ერთზე მეტ თაიგულში.
- Q და S არ არის გამოყენებული ერთსა და იმავე თაიგულში.
- T და S არ არის გამოყენებული ერთსა და იმავე თაიგულში.
- T და R არ არის გამოყენებული ერთსა და იმავე თაიგულში.
- თუ თაიგულში გამოყენებულია P, მასში ასევე გამოყენებულია T.
- თუ თაიგულში გამოყენებულია U, მასში ასევე გამოყენებულია კიდევ ორი სხვა სახეობის ყვავილი.

32. ჩამოთვლილთაგან როგორი შეიძლება იყოს მეყვავილის მიერ დამზადებული თაიგულები?

- (ა) I თაიგული: Q II თაიგული: S III თაიგული: P, T და U
- (ბ) I თაიგული: R II თაიგული: Q და S III თაიგული: P და T
- (გ) I თაიგული: Q II თაიგული: S III თაიგული: P, T და R
- (დ) I თაიგული: R II თაიგული: P და T III თაიგული: S და U
- (ე) I თაიგული: T II თაიგული: S III თაიგული: Q, P და U

33. ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) რომელიმე თაიგულში გამოყენებულია R.
- (ბ) თუ თაიგულში გამოყენებულია S, მაშინ ამ თაიგულში სხვა არცერთი სახეობის ყვავილი არ არის გამოყენებული.
- (გ) რომელიმე თაიგულში გამოყენებულია S.
- (დ) თუ თაიგულში გამოყენებულია Q, მაშინ ამ თაიგულში სხვა არცერთი სახეობის ყვავილი არ არის გამოყენებული.
- (ე) რომელიმე თაიგულში გამოყენებულია T.

34. თუ ერთ-ერთ თაიგულში მხოლოდ T არის გამოყენებული, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი ორი სახეობის ყვავილი იქნება აუცილებლად ერთად გამოყენებული რომელიმე თაიგულში?

- (ა) Q და U.
- (ბ) U და R.
- (გ) Q და P.
- (დ) P და U.
- (ე) Q და R.

35. თუ ერთ-ერთ თაიგულში გამოყენებულია მხოლოდ R, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- (ა) მხოლოდ ერთი თაიგულია ისეთი, რომელშიც მხოლოდ ერთი სახეობის ყვავილია გამოყენებული.
- (ბ) არცერთ თაიგულში არ არის გამოყენებული S.
- (გ) არცერთ თაიგულში არ არის გამოყენებული U.
- (დ) რომელიღაც თაიგულში გამოყენებულია T-ც და U-ც.
- (ე) რომელიღაც თაიგულში გამოყენებულია Q-ც და T-ც.

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

36. სამ ფურცელზე თითო დადებითი რიცხვია დაწერილი. ცნობილია, რომ ამ რიცხვებიდან ნებისმიერი ორის ჯამის ნამრავლი მესამეზე 32-ის ტოლია. იპოვეთ ამ სამი რიცხვის ჯამი.

- (ა) 8
- (ბ) 12
- (გ) 16
- (დ) 18
- (ე) 22

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

37. ავტოსადგომზე 22 ავტომობილის გასაჩერებელი ადგილია. განვიხილოთ შემდეგი ორი გამონათქვამი ამ ავტოსადგომის შესახებ:



- ავტოსადგომზე 18 ავტომობილზე მეტია გაჩერებული.
- ავტოსადგომზე 19 ავტომობილზე მეტია გაჩერებული.

ცნობილია, რომ ამ ორი გამონათქვამიდან ერთი მცდარია, ერთი კი – ჭეშმარიტი.

რამდენი ავტომობილია გაჩერებული ავტოსადგომზე?

- (ა) 18
- (ბ) 19
- (გ) 20
- (დ) 21
- (ე) 22

38. კუბის ფორმის სხეულის სამ წახნაგზე მართობულად დაამაგრეს ცილინდრის ფორმის თითო (თეთრი, რუხი და შავი ფერის) სხეული, რის შედეგადაც მიიღეს 1-ელ სურათზე გამოსახული კონსტრუქცია. ქვემოთ მოცემული ოთხი – I, II, III და IV – სურათიდან მხოლოდ ორზეა ნაჩვენები ეს კონსტრუქცია სხვა რაკურსით. რომელია ეს ორი სურათი?



(ა) I და II

(ბ) I და III

(გ) I და IV







(დ) II და III

(ე) III და IV

39. პორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულ მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის მინის ჭურჭელში ჩადგმულია მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის რკინის მასიური სხეული, რომლის სიმაღლე ნაკლებია ჭურჭლის სიმაღლეზე.

ჭურჭელი ბოლომდე შეავსეს წყლით. ამასთან, შევსების პროცესში წყალი ჭურჭელში თანაბრად ჩაედინებოდა.

ქვემოთ მოცემული ხუთი – I, II, III, IV, V – ნახაზიდან მხოლოდ ერთზეა სწორად მოცემული წყლით შევსების პროცესში ჭურჭელში წყლის დონის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რომელია ეს ნახაზი?



(ა) ნახაზი I

(ბ) ნახაზი II

(გ) ნახაზი III

(დ) ნახაზი IV

(ე) ნახაზი V


40. ნახაზზე გამოსახულია მართკუთხედი და ორი – „დიდი“ და „მცირე“ – წრეწირი. მართკუთხედის ოთხივე წვერო დიდ წრეწირზე მეს, მცირე წრეწირი კი მართკუთხედის დიდ გვერდებს ეხება.

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. მართკუთხედის დიდი გვერდის სიგრძე 14 სმ-ია.
- II. მართკუთხედის მცირე გვერდის სიგრძე 8 სმ-ია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ დიდი და მცირე წრეწირებით შემოსაზღვრული (ნახაზზე მუქი ფერით ნაჩვენები) ფიგურის ფართობი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.



41. x და y ნამდვილი რიცხვების შესახებ მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ -----, მაშინ -----.“

შემდეგი სამი ფრაგმენტიდან:

(1) $x^2 + (y - 2)^2 = 0$

(2) $xy = 1$

(3) $x + y = 2$

აარჩიეთ ორი და ჩასვით ისინი გამოტოვებული ფრაგმენტების ნაცვლად ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(ა) (1) \rightarrow (2)

(ბ) (2) \rightarrow (1)

(გ) (1) \rightarrow (3)

(დ) (3) \rightarrow (1)

(ე) (2) \rightarrow (3)

42. ცნობილია, რომ n მთელი რიცხვია.

შემდეგი ოთხი – I, II, III, IV – პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმისათვის, რომ ვიპოვოთ

$$(n - 1) \cdot (n - 2) \cdot (n - 3) \cdot (n - 4) \cdot (n - 5) \cdot (n - 6) \cdot (n - 7) \cdot (n - 8) \cdot (n - 9)$$

ნამრავლის რიცხვითი მნიშვნელობა?

- I. $n > -1$
- II. $n < 15$
- III. $n < 10$
- IV. $n > 2$

- (ა) I და II
- (ბ) I და III
- (გ) II და III
- (დ) II და IV
- (ე) III და IV

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	№2	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----